

პროფესიული მომზადების პროგრამა:

„ელექტრული მონტაჟი“

პროგრამის სახელწოდება: „ელექტრული მონტაჟი“
პროგრამის სახე: ☒ პროფესიული მომზადება ☐ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☒ 3 ☐ 4 ☐ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10
კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15სთ.
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5, მაქსიმალური - 15
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების მცოდნე პირი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა მიზნით.
სწავლის შედეგები: მსმენელს შეუძლია 1. საინჟინრო ნახაზების/წრედების/ქსელების დიაგრამების გამოყენება 2. ვერბალური და წერილობითი უნარების გამოყენება 3. მუდმივი დენის წრედის პარამეტრების გაზომვა 4. ტევადობის და გამტარობის საფუძვლების პარამეტრების გამოთვლა 5. მაგნეტიზმის პრინციპებისა და თვისებების აღწერა 6. ცვლადი დენის პარამეტრების გამოთვლა. 7. ელექტრული წრედის დიაგრამის მიხედვით მასალების შერჩევა 8. ელექტრული წრედების დაცვის მეთოდების და პროცედურების გამოყენება 9. განათების და ძალის წრედების მონტაჟი და შემოწმება საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში 10. საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში ელექტრული მონტაჟის რეგულაციების აღწერა
პროგრამის შემუშავების საფუძველი: 1. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ №04-71, 03.06.2019წ. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 150 სთ. კვირეული დატვირთვა შეადგენს 15 სთ. მსმენელის შეფასებაზე გათვალისწინებულია 8სთ. მსმენელთა მომზადება განხორციელდება 10 კვირის განმავლობაში: პირველი 8 კვირა კოლეჯში, ხოლო ბოლო ორი მე-9 და მე-10 კვირა კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის (შპს „იფანი“, შპს „მეგობრობა“, შპს „ელიტა“) ობიექტზე.

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან საინჟინრო ნახაზების/წრედების/ქსელების დიაგრამების წაკითხვას და გამოყენებას; ვერბალური და წერილობითი უნარების გამოყენებას; მუდმივი დენის წრედის პარამეტრების გაზომვას; ტევადობის და გამტარობის საფუძვლების პარამეტრების გამოთვლას; მაგნეტიზმის პრინციპებისა და თვისებების აღწერას; ცვლადი დენის პარამეტრების გამოთვლას; ელექტრული წრედის დიაგრამის მიხედვით მასალების შერჩევას; ელექტრული წრედების დაცვის მეთოდების და პროცედურების გამოყენებას; განათების და ძალის წრედების მონტაჟს და შემოწმებას საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში; საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში ელექტრული მონტაჟის რეგულაციების აღწერას.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება პროცესზე დაკვირვებით სწავლების მეორე, მეექვსე და მეთექვსე კვირას და მეთექვსე კვირას ზეპირი გამოკითხვით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე) დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს პროფესიული კვალიფიკაციის ნაწილის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების სერტიფიკატს დაწარით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.